ISSN 1512-1801

The 3rd Teacher Conference "University and School"(Problems of Teaching and Education)
5-6 Desember, 2014, Materials

ბლოგი-სასწავლო რესურსი

ელიზა ბაგალიშვილი
რუსთავის მე-12 სკოლის საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მსოფლიო კულტურის მასწავლებელი

ანოტაცია

სტატია-კვლევა შედგება შესავლის და 4 თავისაგან, დართული აქვს ბიბლიოგრაფია. შესავალში ლაპარაკია იმაზე, რომ ბლოგი, როგორც სწავლა-სწავლების ეფექტური საშუალება დღითიდღე პოპულარული ხდება. ძალიან მნიშვნელოვანია ამ რესურსის მაქსიმალური გამოყენება, აქვე მოცემულია ის დადებითი ეფექტები, რაც მოსდევს ბლოგების ჩართვას სწავლა-სწავლებაში მოსწავლეებისთვის, პედაგოგებისთვის.

პირველ თავში მოცემულია, რომ კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა, თუ რა დონით არის ჩართული ბლოგების გამოყენება სწავლა-სწავლებაში, რისთვის იყენებენ პედაგოგები და მოსწავლეები ამ რესურსს, როგორ მოქმედებს ბლოგების გამოყენება სწავლა-სწავლების ხარისხზე, რა სახის პრობლემები ახლავს ამ ჩართვას და როგორ შეიძლება მათი დაყვანა მინიმუმამდე.

მეორე თავში აღწერილია კვლევის მეთოდი და კვლევის მიმდინარეობა. გამოყენებულ იქნა გამოკითხვის, ანალიზის, ინტერვიუს, ექსპერიმენტის მეთოდი. გამოიკითხა რუსთავის მე-12 სკოლის 43 პედაგოგი და 114 მოსწავლე. შეიქმნა ბლოგი, სადაც აისახა კვლევის შედეგები http://blogresurs.blogspot.com/

მესამე თავი ეთმობა კვლევის შედეგების განხილვას, მოცემულია ბლოგების გამოყენების უპირატესობები მოსწავლეებისათვის და პედაგოგებისათვის. ამ თავშივე მოცემულია ავტორის მიერ შექმნილი და გამოყენებული ბლოგების მიმოხილვა.

მეოთხე თავში საუბარია დასკვნებსა და რეკომენდაციებზე. ძირითადი დასკვნა ასეთია: ბლოგი სწავლა-სწავლების უნივერსალური, ეფექტური საშუალებაა. ბლოგი გახდება განათლების გავრცელებული მეთოდი მომავალში. თუმცა მის გამოყენებას ახლავს პრობლემები, რომლებიც კვლავ უკავშირდება დროის დეფიციტს პედაგოგების მხრიდან, ასევე სათანადო ტექნიკის არამობილურობას (ხშირად დეფიციტსაც კი) სკოლაშიც და სახლშიც, ამ მიმართულებით კომპეტენციების არასათანადო დონეს. აქვე მოცემულია რეკომენდაციები ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად.

საკვანძო სიტყვები: *განათლება, რესურსი, ბლოგი, ბლოგის გამოყენების დადებითი ასპექტები, კვლევა, პრობლემები.*

ISSN 1512-1801

The 3rd Teacher Conference "University and School"(Problems of Teaching and Education)
5-6 Desember, 2014, Materials

შესავალი

საგანმანათლებლო ინოვაციები დღეისათვის განიხილება, როგორც მთავარი პრიორიტეტი მთელ მსოფლიოში.
(European Commission, 2010; Fullan, 2010; Hargreaves et al., 2010; Law, Yuen, & Fox, 2011; Levin, 2008; US Department of Education, 2012)

სასწავლო პროცესში აუცილებელია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება როგორც მასწავლებლებისათვის, ასევე მოსწავლეებისათვის. (ეროვნული სასწავლო გეგმა, თავი II. მუხლი 8, თბილისი, 2011).

ბლოგი, როგორც სწავლა-სწავლების ეფექტური საშუალება დღითიდღე პოპულარული ხდება. ძალიან მნიშვნელოვანია ამ რესურსის მაქსიმალური გამოყენება. ადრე ამაზე ვერც კი იოცნებებდა განათლების მუშაკი, რამდენადაც არ იყო კომპიუტერი, არ იყო ინტერნეტი არც სასწავლო დაწესებულებაში, არც სახლში. ახლა ვითარება მკვეთრად შეიცვალა, კომპიუტერი თითქმის ყველა ოჯახშია (თუმცა არასაკმაო რაოდენობით, უკვე ოჯახის ყველა წევრს საკუთარი კომპიუტერი ჭირდება), ასევე სკოლების ტექნიკური აღჭურვა და ინტერნეტიზაცია (თუმცა აქაც არსებობს პრობლემები) მთელი საქართველოს მასშტაბით თითქმის დასრულდა. ამ ვითარების გათვალისწინებით ახლა უკვე შესაძლებელი ხდება ბლოგების გამოყენება სხვადასხვა სასწავლო აქტივობების დაგეგმვა-ჩატარებისას.

ბლოგების ჩართვა სწავლა-სწავლებაში ერთის მხრივ (მოსწავლეებში):

- ემსახურება დადებითი ემოციური ფონის შექმნას;
- ანვითარებს ბავშვის შემოქმედებით უნარებს ;
- ზრდის ბავშვის მოტივაციასა და ინდივიდუალურობას;
- სწავლებას ხდის მრავალფეროვანს;

მეორეს მხრივ, მასწავლებლებს:

- ეხმარება ბავშვის უკეთ გაგებაში, ცოდნისა და უნარების უკეთ შეფასებაში;
- ეხმარება ეძებოს სწავლების ახალი, არატრადიციული მეთოდები და ფორმები;
- ეხმარება კოლეგებთან თანამშრომლობის ხარისხის ზრდაში;
- ეხმარება ინოვაციების გაცნობასა და ურთიერთგაზიარებაში.

1. **კვლევის მიზანი**

კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა, თუ რა დონით არის ჩართული ბლოგების გამოყენება სწავლა-სწავლებაში, რისთვის იყენებენ პედაგოგები და მოსწავლეები ამ რესურსს, როგორ მოქმედებს ბლოგების გამოყენება სწავლა-სწავლების ხარისხზე , რა სახის პრობლემები ახლავს ამ ჩართვას და როგორ შეიძლება მათი მინიმუმამდე დაყვანა.

2. **კვლევის ამოცანები იყო:**

1) ბლოგის უპირატესობების დადგენა
2) პედაგოგების და მოსწავლეების გამოკვლევა ბლოგებთან მუშაობის საბაზისო უნარჩვევის ქონის მხრივ, რამდენად საჭიროებენ დამატებით

ISSN 1512-1801

ტრენინგებს, როგორ, რატომ და რა დონით იყენებენ ბლოგებს სასწავლო პროცესში, საკუთარი გამოცდილების გაზიარება .

3) ბლოგების გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემებისა და ამ პრობლემების გადაჭრის გზების დადგენა.

3. კვლევის მეთოდი, კვლევის აღწერა

კვლევა ჩატარდა 2014 წლის მარტში. გამოიკითხა რუსთავის მე-12 სკოლის 43 პედაგოგი (კითხვარი,ინტერვიუ, ბლოგი), მე-6 კლასის 15, მე-9 კლასების 74 მოსწავლე, მე-10 და მე-11 კლასების 35 მოსწავლე, სულ 114 მოსწავლე (კითხვარი, ბლოგი, ინტერვიუ, ექსპერიმენტი).

ბლოგების უპირატესობებისა და სწავლებაში ჩართვის საკითხის გამოსაკვლევად გამოყენებულ იქნა: 1.ინტერნეტიდან თემასთან დაკავშირებული მასალების მოძიებისა და მათი სისტემატიზაციის, ანალიზის მეთოდი. 2. გამოკითხვის მეთოდი (კითხვარები, სოციალური ქსელები, ბლოგი, ელ. ფოსტა) 3. ინტერვიუები 4.დაკვირვება გაკვეთილებზე, სადაც აქტიურად გამოიყენება ბლოგები. 5. საშინაო დავალებების, პრეზენტაციების, ნამუშევრების, კითხვარების ანალიზი იმ საგნებში, სადაც ტარდებოდა გაკვეთილები ბლოგების გამოყენებით. 6.ექსპერიმენტი-გაკვეთილების დაგეგმვა-ჩატარება ისტ-სა და მსოფლიო კულტურაში ბლოგების აქტიური ჩართვით.

ინტერნეტ რესურსების (ელექტრონული ბიბლიოთეკები, უცხოური ბაზები) დახმარებით მოძიებულ იქნა ინფორმაცია საგანმანათლებლო ინოვაციებზე, მეცნიერთა ბოლო წლების გამოკვლევებსა და მიმოხილვაზე ისტ-ის გამოყენებასთან დაკავშირებით განათლების სფეროში. მომზადდა კითხვარი პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის, შეიქმნა ბლოგები, სადაც განთავსდა სხვადასხვა წლებში გამოყენებული პრაქტიკული დავალებები, ტესტები, სავარჯიშოები, კითხვები, შემაჯამებელი სამუშაოები, განხორციელებული პროექტების, ინტეგრირებული გაკვეთილების მასალები, შედეგები, სკოლის პედაგოგთა ბლოგების, პრეზენტაციებისა და კონკრეტული თემებისათვის საჭირო რესურსების ბმულები, და ა.შ. ბლოგებში განთავსდა კითხვარები პედაგოგთათვის, მოსწავლეთათვის, გამოკითხვის გაჯეტი, სადაც პედაგოგები და მოსწავლეები აფიქსირებდნენ პასუხებს მიზნობრივ შეკითხვებზე.

მოხდა მიღებული მონაცემების გაანალიზება. შედეგად დადგინდა რომ პედაგოგები და მოსწავლეებიც დადებითად არიან განწყობილი ბლოგების მიმართ, აცნობიერებენ მათ დიდ შესაძლებლობებს, ეს სიახლე საინტერესოა მათთვის, თუმცა ჯერ-ჯერობით ბლოგები გამოიყენება ძირითადად ინფორმაციის მოპოვების მიზნით, სასწავლო პროცესში ბლოგების აქტიურ ჩართვას ახერხებს პედაგოგთა მცირე ნაწილი, მოსწავლეები აქტიურად იყენებენ ბლოგებს ისტ-ის, მსოფლიო კულტურის, ისტორიის, სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე საკლასო, საშინაო დავალებების და შემაჯამებელი დავალებების შესრულებისას.

შეიქმნა ბლოგი, სადაც აისახა კვლევის შედეგები http://blogresurs.blogspot.com/ მარტიდან მაქსიმალურად ვიყენებთ ბლოგებს ისტ-ისა და მსოფლიო კულტურის

ISSN 1512-1801

გაკვეთილებზე კერძოდ:

- ყოველდღიურად კლასების მიხედვით ვამზადებ დავალებებს (საკლასო, საშინაო, დამოუკიდებელი) , შესაბამის ინსტრუქციებს და შეფასების სქემას.
- გაკვეთილის მსვლელობისას ერთერთი აქტივობა ყოველთვის არის ბლოგთან მიმართვა დავალების სანახავად , შესასრულებლად, კომენტარების გასაკეთებლად, თანაკლასელების ნამუშევრების დასათვალიერებლად.
- ბლოგში ვწერ ასევე გაკვეთილების ყოველდღიური გეგმის ვარიანტებს.
- საჭიროებისდა მიხედვით ვამზადებ კითხვარებს, ტესტებს , შემაჯამებელი სამუშაოების ვარიანტებს.
- ბლოგზე ვდებ ასევე საინტერესო ბმულებს გაკვეთილის თემასთან დაკავშირებით, მოსწავლეთა ნამუშევრებს,
- ვცდილობ მოსწავლეებმა დატოვონ კომენტარები ბლოგზე, სადაც დააფიქსირებენ თავიანთ მოსაზრებებს დავალებების სირთულესთან დაკავშირებით, სურვილებს რა ტიპის დავალებები უნდათ რომ განთავსდეს, შეფასებებს თანაკლესელების ნამუშევრებზე და ა. შ.

შედეგები

ქვემოთ მოცემულია შედეგი კითხვაზე: იყენებთ თუ არა ბლოგს:



ISSN 1512-1801



დადგინდა ბლოგის უპირატესობები:

პედაგოგებისთვის:

1. ბლოგი რეფლექსიის შესანიშნავი საშუალებაა.
2. წერის დროს, როგორც ბრიტანელი მეცნიერი Daniel Chandler ამბობდა, ჩვენ ვიწერებით, ბლოგინგი ჩვენი ფიქრის კრისტალიზების საშუალებას იძლევა.
3. ბლოგი ფართო აუდიტორიასთან კომუნიკაციის შესანიშნავი საშუალებაა
4. კრიტიკული აზროვნების განვითარების საშუალებაა
5. ბლოგინგი კრეატიულობას, შემოქმედებითობა უწყობს ხელს
6. ბლოგი უკუკავშირის სწრაფი საშუალებაა
7. ბლოგი ცნობისმოყვარეობის გაღვივების კარგი საშუალებაა

ბლოგი ეხმარება მოსწავლეებს:

1. მონახონ საიტერესო და საჭირო ინფორმაცია
2. შეასრულონ მათი საჭიროებებისადმი მორგებული პრაქტიკული დავალებები
3. შეკითხვებით მიმართონ პედაგოგს გაუგებარ საკითხებზე, ოპერატიულად მიიღონ უკუკავშირი.
4. კომენტარში ასახონ საკუთარი მოსაზრებები, შეფასებები და დაინახონ, რომ მათი აზრი მნიშვნელოვანია.
5. გაეცნონ და გამოიყენონ ახალი ტექნოლოგიები.
6. განივითარონ 21-ე საუკუნის უნარები

როგორ ვიყენებ ბლოგებს? გაკვეთილები (ისტ, მსოფლიო კულტურა) ტარდება კომპიუტერულ კლასში. 2006 წლიდან ვიყენებ ბლოგებს, თუმცა მათი აქტიური ჩართვა

ISSN 1512-1801

სწავლა-სწავლებაში ორი წელია რაც დავიწყე, მას შემდეგ, რაც ინტერნეტის გამოყენება სკოლაში შესაძლებელი გახდა.

გაგაცნობთ ჩემს მიერ შექმნილ და გამოყენებულ ბლოგებს:

1. ბლოგები- praqtik.blogspot.com , tasks2011.blogspot.com
   - წინარე მასალის გახსენების მიზნით
   - მინი პრეზენტაციის დროს (ახალი მასალის ახსნისათვის)
   - საკლასო სამუშაოს (ჩვეულებრივი და დამოუკიდებელი) შესასრულებლად
   - სწავლება კეთებით- მასალის განმტკიცება
   - შემაჯამებელი სამუშაოს შესასრულებლად (ინსტრუქციებითა და შეფასების სქემით)
   - გამოკითხვებისთვის
2. ბლოგები: tasks2011.blogspot.com ,http://praqtik.blogspot.com , http://worldculture2014.blogspot.com/
   - კლასგარეშე მუშაობისთვის
   - საშინაო დავალებებისთვის (ინსტრუქციებითა და შეფასების სქემით)
   - მოსწავლეთა ნამუშევრების განთავსებისათვის

3. ბლოგები: http://kvlevashedegebis.blogspot.com/ ,http://mobiluri2013.blogspot.com/ , http://poeziamusika.blogspot.com/,http://sashobaobaratebi2009.blogspot.com/, http://legends2014.blogspot.com/ , http://time-elza.blogspot.com/ , http://2013eqvtime.blogspot.com/

   - კვლევის, გაკვეთილების და პროექტებისათვის

1. ბლოგი: http://portfolioelza.blogspot.com/
   - პორტფოლიოსთვის
2. ბლოგები: http://warchinebulebi.blogspot.com/ , http://qartuliena.blogspot.com/ , http://ucxoenebi.blogspot.com/ , http://sajaro12.blogspot.com/
   - სკოლის სხვადასხვა საჭიროებებისთვის:

დასკვნები და რეკომენდაციები:

ბლოგის გამოყენებით:

- კომუნიკაცია ეფექტურია მოსწავლე-მასწავლებელს, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის,
- ესაა პედაგოგთა და მოსწავლეთა ურთიერთთანამშრომლობა, ექპერიმენტები და კვლევები, ურთიერთდახმარება, გამოცდილების გაზიარება
- სასწავლო პროცესი გრძელდება დროისა და სივრცის შეუზღუდავად
- ხალისიანი, იოლად აღქმადი, თანამშრომლობითი გაკვეთილები ცვლიან ჩვენ დამოკიდებულებებს სწავლისადმი და ერთმანეთისადმი.
- მოსწავლე უფრო კრიტიკულია საკუთარი ნაშრომისადმი და ცდილობს მუდმივად განვითარდეს, ვითარდება 21-ე საუკუნის უნარები

ამგვარად, ბლოგი სწავლა-სწავლების უნივერსალური, ეფექტური

ISSN 1512-1801

საშუალებაა

ყველა პედაგოგი და მოსწავლე აცნობიერებს, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები , მათ შორის ბლოგებიც აუცილებელია ჩართულ იქნას სასწავლო პროცესში, თუმცა მათ გამოყენებას ახლავს პრობლემები, რომლებიც კვლავ უკავშირდება დროის დეფიციტს პედაგოგების მხრიდან, ასევე სათანადო ტექნიკის არამობილურობას (ხშირად დეფიციტსაც კი) სკოლაშიც და სახლშიც. ამ მიმართულებით კომპეტენციების არასათანადო დონეს.

საჭიროა ყველა პედაგოგს და მოსწავლეს ჰქონდეს საკუთარი კომპიუტერი, რომელსაც სასურველ დროს და სასურველი მიზნით გამოიყენებს. სკოლის ყველა კლასი პროექტორით და ხარისხიანინტერნეტთან შეერთებული კომპიუტერით უნდა იქნეს მოწყობილი. კომპიუტერული კლასის მუდმივი განახლება და მოწესრიგება უნდა ხდებოდეს, პირდაპირი შედეგიც არ დაიგვიანებს და ბლოგების გამოყენებას სრულად შევძლებთ სწავლა-სწავლებაში.

დასკვნა: მას შემდეგ, რაც ვიყენებთ ბლოგებს, მივიღეთ:

- გლობალური აუდიტორია
- თვითშეფასების ამაღლება
- ერთმანეთის უკეთ გაცნობა
- საამაყო online სივრცე, უქაღალდო ტექნოლოგია
- ბიძგი ბლოგების უწყვეტი განვითარებისთვის

ამგვარად, ბლოგი გახდება განათლების გავრცელებული მეთოდი მომავალში.

<u>გამოყენებული ლიტერატურა:</u>

1. European Commission, 2010; Fullan, 2010; Hargreaves et al., 2010; Law, Yuen,& Fox, 2011; Levin, 2008; US Department of Education, 2012.
2. ეროვნული სასწავლო გეგმა თავი II. მუხლი 8. თბილისი, 2011.
3. The Use of ICT in Education: a survey of schools in EuropePatricia Wastiau, Roger Blamire, Caroline Kearney, Valerie Quittre,
4. Eva Van de Gaer & Christian Monseur,European Journal of EducationSpecial Issue: ICT and Education: taking stock of progress and looking at the future March 2013, Volume 48, Issue 1, pages 11–27
5. Framing ICT-enabled Innovation for Learning: the case of one-to-one learning initiatives in Europe Stefania Bocconi, Panagiotis Kampylis and Yves Punie,European Journal of EducationVolume 48, Issue 1, pages 113–130, March 2013
6. http://www.editteach.org/tools?tool_entry_id=378
7. http://www.slideshare.net/frankcalberg/11-advantages-of-using-a-blog-for-teaching
8. http://www.mastersinteaching.net/top-50-blogs-for-teaching-tips-ideas-and-inspiration.html
9. http: //steve-wheeler.blogspot.com/2011/07/seven-reasons-teachers-should-blog.html